პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ შინდისში, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთისთვის და იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთს და იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევს მიენიჭოს მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


თამარის ქუჩა
9 აპრილის ქუჩა
მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა
იოსებ მანსვეტაშვილის ქ
მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევი
1:10

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

02 / სექტემბერი / 2025 წ.

KA011750276879325

№ 196602 06-032524 65-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგახსენებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა იოსებ ბაღაშვილის (პ/ნ 14001005047) განცხადება M25010861, რომლის თანახმად მოთხოვნილია 01.81.02.141.021 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთისთვის (მისამართით ქალაქი თბილისი, სოფელი შინდისი, იოსებ მანსვეტაშვილის II შესახვევი N7) მისამართი განესაზღვროს მისასვლელი გზის გათვალისწინებით.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები სახელწოდებებით:

- ქალაქი თბილისი, სოფელი შინდისი, იოსებ მანსვეტაშვილის II შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, სოფელი შინდისი, იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, სოფელი შინდისი, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევი.

ამასთან, სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების თანახმად, "ქალაქი თბილისი, სოფელი შინდისი, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევი"-ს მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს (იხ. თანდართული სიტუაციური ნახაზი). სააგენტოს არქივში დაცულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 30 სექტემბრის N62 დადგენილება, რომლის საფუძველზე დიდგორის რაიონში, სოფელ შინდისის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით მიენიჭა სახელწოდებები, მათ შორის პირობითად მე-3 ქუჩას - მიხეილ ჯავახიშვილის სახელი. დადგენილებას არ ახლავს ორთოფოტო შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტების მონიშვნით, რაც სააგენტოში რეგისტრირებული მონაცემების სისწორის გადამოწმების საშუალებას მოგვცემდა.

საქმისათვის არსებითი გარემობების გამოკვლევისა და ნუმერაციის კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების გათვალისწინების მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ "ქალაქი თბილისი, სოფელი შინდისი, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევი"-ს სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული მონაცემების სისწორის გადამოწმება და მოხაზულობის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527346**
თარიღი: **30/09/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 03 სექტემბრის საქმე #06-03252465-03 დაკავშირებით, რომლითაც იოსებ ბაღაშვილის M25010861 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია 01.81.02.141.021. საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთითვის მისამართის განსაზღვრა მისასვლელი გზის გათვალისწინებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სოფელ შინდისში, იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევისა და მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი